საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.07.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 098/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ შ. ფ.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ შ. ფ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 18 ივლისს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. მ.-მა და მოითხოვა ადვოკატ შ. ფ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, 2019 წლის 23 მარტს, მიმართა ადვოკატ შ. ფ.-ის საადვოკატო ბიუროს. საადვოკატო ბიუროში ვიზიტისას მ. მ.-მა ადვოკატ შ. ფ.-ს მიაწოდა საქმესთან დაკავშირებული მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი და განუმარტა, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისგან მიიღო 500 აშშ დოლარის სანაცვლოდ მორიგების შეთავაზება.

1.3 ადვოკატმა მ. მ.-ს განუმარტა, რომ გაეცნობოდა საქმის მასალებს, შეაფასებდა მის პერსპექტიულობას და ამის შემდეგ, დაუკავშირდებოდა მას. ადვოკატი 2019 წლის 19 ივლისს დაუკავშირდა მ. მ.-ს და დათანხმდა მის წარმომადგენლობას.

1.4 ზეპირი შეთანხმების თანახმად, მ. მ.-მა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების მოძიებისა და ადმინისტრაციულ ორგანოში საქმისწარმოებისათვის ადვოკატს ჩაურიცხა 1000 ლარი. ჰონორარის მიღების შემდეგ, ადვოკატი აქტიურად სთავაზობდა მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგებას.

1.5 თავდაპირველად ბიუროში ვიზიტისას ადვოკატმა განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ მის საქმეზე სხვა ადვოკატიც იმუშავებდა, რაზეც მომჩივანი დაეთანხმა. მიუხედავად ამისა, ის არ იყო წინასწარ ინფორმირებული, რომ შ. ფ.-ის გარდა, მის ინტერესებს რომელი ადვოკატები დაიცავდნენ.

1.6 ადვოკატი ადმინისტრაციულ ორგანოში გამართული ზეპირი მოსმენის სხდომებზე თავისი საადვოკატო ბიუროს ორ ადვოკატთან ერთად ცხადდებოდა დროულად, თუმცა, საჩივრის ავტორის განმარტებით, არც ერთი მათგანი არ გამოირჩეოდა აქტიურობით. მათი ქმედებები იძლეოდა ეჭვის საფუძველს, რომ მხოლოდ კლიენტის დასანახად მოქმედებდნენ.

1.7 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისი არაერთი მცდელობის მიუხედავად უჭირდა ადვოკატთან კომუნიკაცია. კერძოდ, ადვოკატი არ პასუხობდა ზარებს და არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, როდესაც მოხერხდა ადვოკატთან კომუნიკაცია, მან განუმარტა მ. მ.-ს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში შეტანილი ჰქონდა ყველა საჭირო დოკუმენტი. მოთხოვნის მიუხედავად ადვოკატი მას არ აწვდიდა საქმის მასალებს, იმ განცხადებებს, რომლებსაც წერდა და შეჰქონდა ადმინისტრაციულ ორგანოებში, არ ათანხმებდა მასთან პოზიციებს. მ. მ.-ის განცხადებით, მასალები მხოლოდ მას შემდეგ გადაეცა მას, როცა პრეტენზიით მიმართა ადვოკატს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ თავად რეკავდა საჯარო რეესტრში და იღებდა ინფორმაციას ზეპირი მოსმენის სხდომებთან დაკავშირებით.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოწინააღმდეგე მხარემ მიმართა პროკურატურას, ადვოკატმა კი აღნიშნულ წარმოებაში ჩართვაზე უარი განუცხადა იმ მიზეზით, რომ სისხლის სამართლის მიმართულების საქმეები მის კომპეტენციას არ მიეკუთვნებოდა. მ. მ.-მა მოგვიანებით შეიტყო, რომ ადვოკატს ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაცია.

1.9 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრების აუცილებლობა დადგა სასამართლოში, რაზედაც ადვოკატმა განაცხადა, რომ არსებული შეთანხმების თანახმად, მისი ვალდებულება სასამართლოში წარმომადგენლობა არ იყო და ხარჯების დაზოგვის მიზნით ურჩია დავის მორიგებით დასრულება.

1.10 საჩივრის ავტორს პრეტენზია აქვს მხოლოდ ჰონორარის ნახევართან დაკავშირებით და ადვოკატის დისციპლინირებასთან ერთად, ის ითხოვს 500 ლარის უკან დაბრუნებას, რადგან ადვოკატმა გარკვეული სამუშაო მაინც გასწია.

1.11 2020 წლის 21 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დააკონკრეტა, რომ ადვოკატს აღებული ჰონორარის 1000 ლარის ფარგლებში უნდა ეწარმოებინა მისი საქმე ადმინისტრაციულ ორგანოებში, ამ თანხაში სასამართლოში წარმომადგენლობა არ შედიოდა.

1.12 საადვოკატო მომსახურების განმავლობაში ადვოკატს შეხვდა 5-6, მათ შორის ძირითადად იყო სატელეფონო კომუნიკაცია, რა დროსაც ადვოკატი აიმედებდა, რომ მუშაობდა მის საქმეზე და ყველაფერი კარგად იყო.

1.13 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ერთ-ერთი კომუნიკაციისას ადვოკატმა მიაწოდა ინფორმაცია თავისი სპეციალიზაციის შესახებ, მაგრამ მან დაზუსტებით არ იცოდა რას ნიშნავდა სისხლის სამართლის სპეციალიზაცია და ამ ფაქტისათვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა შ. ფ.-მა 2019 წლის 11 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, მის საადვოკატო ბიუროში მეუღლესთან ერთად მივიდა მ. მ., რომელმაც გააცნო თავისი პრობლემა და აუხსნა, რომ საცხოვრებელ ბინასა და მიწის ნაკვეთზე ჰქონდა უთანხმოება მეზობელთან. კერძოდ, მისი მეზობლის მიწის ნაკვეთი ზედდებით ფიქსირდებოდა თავის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლზე. ადოკატმა განუმარტა, რომ საქმის მასალების გაცნობის შემდეგ მიიღებდა გადაწყვეტილებას აღნიშნულ საქმეზე მუშაობის შესახებ და პასუხს შეატყობინებდა.

2.2 ადვოკატი განმარტავს, რომ 2019 წლის 27 მარტს მან დაურეკა მ. მ.-ს და გააცნო გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე მუშაობის შესახებ, გაუგზავნა ანგარიშის ნომერი სადაც საქმის საფუძვლიანად შესწავლისათვის მ. მ.-ს უნდა ჩაერიცხა 500 ლარი და გაეკეთებინა შესაბამისი მინდობილობა. შეთანხმების მიხედვით, მას 500 ლარი უნდა მიეღო მხოლოდ იმისათვის, რომ გაცნობოდა საქმეს, სირთულეების შეთხვევაში დამატებით უნდა ჩაერიცხა კლიენტს თანხა. საქმის გაცნობის შემდეგ დაადგინა სირთულეები, რისთვისაც ადვოკატმა დამატებით მიიღო კიდევ 500 ლარი, საქმის მერიაში საწარმოებლად. ადვოკატის განმარტებით, მიღებული ჰონორარის ნახევარი გადასცა თავისი ბიუროს ადვოკატს - ნ. მ.-ს, რომელიც ჩართული იყო საქმის მომზადებაში. სხვა ადვოკატის საქმეში ჩართვის შესახებ კლიენტი იყო ინფორმირებული. ადვოკატის განმარტებით, 2019 წლის 28 მარტს მ. მ.-მა მას მისცა მინდობილობა.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ მის მოვალეობაში შედიოდა საჯარო რეესტრში მ. მ.-ის წარმომადგენლობა, რაც სრულდებოდა საჯარო რეესტრში გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე მისი პოზიციის დაცვით. თუ აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება გახდებოდა საჭირო, დამატებით ჰონორარი იქნებოდა გადასახდელი.

2.4 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისგან მ. მ.-ს მიღებული ჰქონდა გაფრთხილება, რომლის მითითებებსაც თუ 30 დღის ვადაში არ შეასრულებდა, დაჯარიმდებოდა. აღნიშნული აქტის მოქმედება კი მისი ძალისხმევის შედეგად შეჩერდა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საჯარო რეესტრმა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ცალსახად მოგებული მხარე არ იკვეთებოდა. აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება იყო საჭირო, მ. მ.-მა განაცხადა, რომ მას დამატებითი თანხის გადახდის შესაძლებლობა აღარ ჰქონდა, მაგრამ მას მაინც უნდა გაესაჩივრებინა აღნიშნული გადაწყვეტილება.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მ. მ. მას ყოველდღიურად ურეკავდა და როდესაც ადვოკატი ვერ პასუხობდა, წერდა მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს და მატყუარას უწოდებდა. ადვოკატი განმარტავს, რომ ყველა განცხადების შესახებ კლიენტის ინფორმირება არ არის აუცილებელი, მთავარია მიღწეულ იქნას კლიენტისათვის სასურველი შედეგი. ადვოკატი განმარტავს, რომ საჯარო რეესტრსა და მერიაში ჩანიშნული ზეპირი მოსმენის სხდომების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა თავად და თვითონ აწვდიდა კლიენტს.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტს ურჩია მორიგებაც, თუმცა იმ დროის მათ აღარ ჰქონდათ კარგი ურთიერთობა და მ. მ.-მა მისი რჩევა არ გაითვალისწინა.

2.8 2020 წლის 21 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ თავისი სპეციალიზაციის შესახებ კლიენტს თავიდანვე მიაწოდა ინფორმაცია, ასევე ეს განუმარტა მაშინ, როდესაც კლიენტმა სთხოვა ეწარმოებინა მისი სისხლის სამართლის საქმეც. ასევე ადვოკატმა განმარტა, რომ კლიენტის საქმე აწარმოა ადმინისტრაციულ ორგანოში, ადმინისტრაციულ საქმეზე, მას აქვს სისხლის სამართლის ლიცენზია, რაც ასევე მოიცავს ადმინისტრაციული საქმის წარმოებასაც.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ როგორც დოკუმენტაციიდან ჩანდა, რეესტრს დაშვებული ჰქონდა შეცდომა და მ. მ.-ის დავა იყო პერსპექტიული. ადვოკატი განმარტავს, რომ სტრატეგიულად კლიენტს სთხოვა არ შესულიყო და არ გაეხსნა თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ.გვერდზე (www.tas.ge) ატვირთული დოკუმენტი. ამ თხოვნამ გამოიწვია კლიენტის უნდობლობა, რადგან ეგონა ადვოკატი მას უმალავდა რაიმე ინფორმაციას. მისგან მიწოდებულ ინფორმაციას კლიენტი ყოველთვის ამოწმებდა რეესტრის წარმომადგენელთან - ზ. რ.-თან, რომელიც ადვოკატის მეგობარია.

2.10 ადვოკატის განმარტებით, ამ საქმეზე მან განახორციელა შემდეგი მოქმედებები: შეადგინა და საჯარო რეესტრში შეიტანა ნახაზები, მოიძია ფაილი რეესტრის სამსახურიდან, რომელიც ატვირთა არქიტექტურის სამსახურის ვებ. გვერდზე, ამის საფუძველზე შეჩერდა ჯარიმები, დაწერა განცხადება ზედამხედველობის სამსახურში, რეესტრს მიმართა რათა მომხდარიყო მ. მ.-ის ფართის აზომვა, მონაწილეობა მიიღო საჯარო რეესტრის ზეპირ სხდომაზე.

3. ადვოკატის მოწმის ნ. მ.-ის განმარტება:

3.1 2020 წლის 21 ოქტომბრის სხდომაზე ადვოკატის მოწმემ განმარტა, რომ თავად და ადვოკატი შ. ფ. მუშაობენ ერთ ოფისში, ამ საქმეში ის შ. ფ.-ს უწევდა ტექნიკურ დახმარებას და ამის შესახებ მ. მ. თავიდანვე იყო ინფორმირებული. მოწმემ განმარტა, რომ ესწრებოდა მ. მ.-ისა და შ. ფ.-ის შეხვედრას. ადვოკატს საქმე უნდა ეწარმოებინა ადმინისტრაციული წესით, ადმინისტრაციულ

ორგანოში, რაშიც კლიენტი იხდიდა ჰონორარს 1000 ლარს. ადვოკატმა კლიენტის ინტერესის დასაცავად განახორციელა ყველა კანონით დაშვებული მოქმედება.

3.2 მოწმემ განმარტა, რომ მონაწილეობას იღებდა საჯარო რეესტრში გამართულ საქმის ზეპირ მოსმენაში, სადაც შ. ფ.-მა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მარეგისტრირებელ ორგანოს მიეღო მ. მ.-ის მიწის რეგისტრაციის გადაწყვეტილება. შ. ფ.-მა შეაჩერა ჯარიმის აღსრულებაც.

3.3 მოწმე მიიჩნევს, რომ ადვოკატმა შ. ფ.-მა მიიღო მინიმალური ანაზღაურება. მიღებული 1000 ლარიდან შ. ფ.-მა მას გადასცა 500 ლარი.

4. ადვოკატის მოწმის ზ. რ.-ის განმარტება:

4.1 2020 წლის 21 ოქტომბრის სხდომაზე ადვოკატის მოწმემ განმარტა, რომ მუშაობდა საჯარო რეესტრში მიწის რეგისტრატორად. ადვოკატის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი ნახაზები ეხებოდა როგორც მიწის იმ ნაწილს, რომელზეც დავა არ მიმდინარეობდა, ასევე მიწის იმ ნაწილსაც, რომელიც იყო სადავო.

4.2 მოწმის განმარტებით, მას დაუკავშირდა მ. მ. და უთხრა, რომ თავის ადვოკატს ვერ უკავშირდებოდა. მოწმე განმარტავს, რომ რადგან იყო სამუშაო საათები და შესაძლოა ადვოკატი პროცესზე ყოფილიყო, მ. მ.-ს მოუწოდა კიდევ ეცადა შ. ფ.-თან კომუნიკაცია.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1 2019 წლის 17 ივლისს, პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ შ. ფ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

5.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებოდა, რომ ადვოკატმა შ. ფ.-მა კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია თავისი სპეციალიზაციის შესახებ; ასევე, ადვოკატმა არ შეათანხმა დაცვის სტრატეგია კლიენტთან, არ მიაწოდა მას ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე, კლიენტის თხოვნის მიუხედავად, არ გადასცა კლიენტის საქმესთან დაკავშირებით, მის მიერ შედგენილ დოკუმენტები, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს საქმის კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად წარმოების, კლიენტის ინფორმირებისა და ნდობის ვალდებულება.

5.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებოდა, რომ ადვოკატმა შ. ფ.-მა წინასწარ არ განუმარტა კლიენტს მისი ჰონორარის გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი, არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს კლიენტისათვის ჰონორარის განსაზღვრის წესის, მოსალოდნელი ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და ხარჯთაღრიცხვის წარმოების ეთიკური ვალდებულება.

5.4 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებოდა, რომ ადვოკატმა შ. ფ.-მა კლიენტს მ. მ.-ს არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობა, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტები:

6.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

6.1.1 ადვოკატი შ. ფ. და მ. მ. 2019 წლის მარტის თვეში ზეპირი ფორმით შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი აწარმოებდა მ. მ.-ის ადმინისტრაციულ საქმეს ადმინისტრაციულ ორგანოში და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი შეთანხმების ფარგლებში - სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის სხდომის ოქმი

6.1.2 მხარეთა შორის მინდობილობა გაფორმებულია 2019 წლის 28 მარტს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2019 წლის 28 მარტის მინდობილობა

6.1.3 ადვოკატმა კლიენტისაგან მიიღო საადვოკატო მომსახურების ჰონორარი 1000 ლარის ოდენობით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა წერილობითი და ზეპირი პოზიციები;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის სხდომის ოქმი

6.1.4 მიღებული ჰონორარის ფარგლებში შ. ფ.-ს მ. მ.-ის საქმე უნდა ეწარმოებინა ადმინისტრაციულ ორგანოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის სხდომის ოქმი;

ადვოკატის მოწმის ნ. მ.-ის განმარტება;

6.1.5 ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია თავისი სპეციალიზაციის შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის სხდომის ოქმი.

6.1.6 კლიენტი ინფორმირებული იყო, რომ ადვოკატ შ. ფ.-ს ტექნიკურ დახმარებას გაუწევდა საქმეში ჩართული მეორე ადვოკატი - ნ. მ..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის სხდომის ოქმი;

ადვოკატის მოწმის ნ. მ.-ის პოზიცია

6.1.7 ადვოკატმა შ. ფ.-მა საქმეზე განახორციელა შემდეგი მოქმედებები: შეადგინა და საჯარო რეესტრში შეიტანა ნახაზები, მოიძია ფაილი რეესტრის სამსახურიდან, რომელიც ატვირთა არქიტექტურის სამსახურის ვებ. გვერდზე, ამის საფუძველზე შეჩერდა ჯარიმები, დაწერა განცხადება ზედამხედველობის სამსახურში, რეესტრს მიმართა რათა მომხდარიყო მ. მ.-ის ფართის აზომვა, მონაწილეობა მიიღო საჯარო რეესტრის ზეპირ სხდომაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2019 წლის 22 მაისის განცხადება;

2019 წლის 08 მაისის განცხადება N---;

განცხადება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის სხდომის ოქმი;

ადვოკატის მოწმის ნ. მ.-ის პოზიცია;

ადვოკატის მოწმის ზ. რ.-ის პოზიცია

6.1.8 შ. ფ. კლიენტს სთავაზობდა დავის მორიგებით დასრულებას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის სხდომის ოქმი

6.1.9 მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა კლიენტის - მ. მ.-ის სურვილით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის სხდომის ოქმი

6.2 სადავო ფაქტები

კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების პირობები არ იყო ნათელი; ადვოკატი შ. ფ. კლიენტს არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოიკვეთა, რომ საადვოკატო ურთიერთობის პერიოდში მ. მ. ადვოკატ შ. ფ.-ს პირადად შეხვდა დაახლოებით 6 ჯერ. ასევე, მხარეებს ჰქონდათ ხშირი სატელეფონო კომუნიკაცია. მიუხედავად მ. მ.-ის პრეტენზიისა, რომ ადვოკატი არ პასუხობდა მის ზარებს და მხარეთა შორის კომუნიკაციის პრობლემა იყო, კოლეგიას მიაჩნია, რომ მ. მ. ფლობდა მის საქმესთან დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას. თუმცა, საადვოკატო მომსახურების პირობებზე ზეპირი ფორმით შეთანხმებამ, მხარეთა შორის გააჩინა კომუნიკაციის პრობლემა, რამაც საბოლოოდ გამოიწვია კლიენტის ნდობის დაკარგვა და საადვოკატო მომსახურების დასრულება. კოლეგიამ დაადგინა, რომ მართალია ადვოკატი შ. ფ. კლიენტს აწვდიდა ინფორმაციას, თუმცა კლიენტისათვის სუბიექტურად აღნიშნული

კომუნიკაცია არ იყო საკმარისი, რადგან მხარეთა შორის საადვოკატო მომსახურების პირობები და ინფორმაციის მიწოდების წესი, თავიდანვე არ იყო ნათელი.

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ შ. ფ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ შ. ფ.-ის მიერ დარღვეულია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, რამაც გამოიწვია ადვოკატის მიმართ ნდობის დაკარგვა:

8.1.1 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს მისი საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

8.1.2 ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.6).

8.1.3 კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 3).

8.2 კლიენტის ინფორმირების ვალდებულების ჯეროვანი შესრულება უმნიშვნელოვანესია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში, რადგან ინფორმირებით კლიენტს ეძლევა შესაძლებლობა სრულყოფილად ჩაერთოს თავისი საქმის განხილვის პროცესში და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ადვოკატმა, კლიენტთან ურითიერთობის დაწყების ეტაპიდანვე უნდა განსაზღვროს კომუნიკაციის რა ფორმას გამოიყენებს კლიენტთან და მიაწოდოს ამის შესახებ ინფორმაცია კლიენტს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიენტის ინფორმირება ისეთ საკითხებზე, რომელიც არსებითად უკავშირდება კლიენტის საქმის შედეგს. ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კლიენტის ინტერესების დასაცავად, არამედ, ასევე ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გასაღრმავებლად. ამასთან, კომისია განმარტავს, რომ მიუხედავად ზოგადი დანაწესისა, რომ მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, ინფორმირების ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი ადვოკატზე გადმოდის.

8.3 „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის

2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N074/10); „ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებება“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება, საქმე 092/11).

8.4 „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიენტის დროული ინფორმირება იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლებრივი მოქმედების განხორციელება შეზღუდულია კონკრეტული ვადით და არსებობს იმის საფრთხე, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ კლიენტი ვეღარ მოახდენს საკუთარი უფლების რეალიზაციას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე N027/11).

8.5 „ადვოკატის პირადი ღირსება და პატიოსნება არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის, როგორც ინდივიდის პიროვნული თვისებებია, არამედ თავისი მნიშვნელობით უფრო ვრცელი მასშტაბისაა და ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლში (ნდობის პრინციპი) ყველა ის პირადი თვისება, რომელიც ადვოკატს პიროვნულად უნდა ახასიათებდეს, იმავდროულად ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებად განიხილება. ყოველი კონკრეტული ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა, იმავდროულად ხელს უწყობს კოდექსში გაცხადებული მიზნის - ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებას“ (ეთიკის კომისიის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე N330/07).

8.6 „ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დამკვიდრება, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისადმი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისადმი კლიენტის ნდობის საკითხი და ჩრდილი არ მიაყენოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალ შეხედულებას. აღნიშნულს მოითხოვს ადვოკატთა პროფესიის კორპორატიული არსი“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).

8.7 განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ მხარეთა შორის საადვოკატო მომსახურების პირობებზე შეთანხმება განხორციელდა ზეპირი ფორმით. საჩივრის ავტორისათვის ნათლად და მკაფიოდ არ იყო გასაგები ხელშეკრულების პირობები და კომუნიკაციის წესი. საადვოკატო ურთიერთობის პერიოდში მ. მ. ადვოკატ შ. ფ.-ს პირადად შეხვდა დაახლოებით 6 ჯერ. ასევე, მხარეებს ჰქონდათ ხშირი სატელეფონო კომუნიკაცია, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც კლიენტი ადვოკატს ვერ უკავშირდებოდა - ადვოკატი არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს. ადვოკატთან კომუნიკაციისთვის კლიენტს დასჭირდა დაკავშირებოდა საჯარო რეესტრში დასაქმებულ პიროვნებას - ზ. რ.-ს, რომელიც იყო ადვოკატის მეგობარი და მონაწილეობდა მ. მ.-ის მიწის აზომვაში. მიუხედავად კომუნიკაციის პრობლემისა, მ. მ. ფლობდა მის საქმესთან დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას. თუმცა, კოლეგიის შეფასებით, აღნიშნული

ინფორმაცია კლიენტისათვის არ იყო საკმარისი, მას მაინც გაუჩნდა ადვოკატისადმი უნდობლობა, რამაც საბოლოოდ მხარეთა შორის ურთიერთობის დასრულება გამოიწვია.

8.8 კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ შ. ფ.-ის მიერ დარღვეულია კლიენტის სათანადო წესით ინფორმირებისა და ნდობის პრინციპი.

8.9 ადვოკატის მიერ დარღვეული არ არის კლიენტისათვის თავისი სპეციალიზაციის, საქმეში ჩართული ადვოკატის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და საქმის წარმართვის სტრატეგიის შეთანხმების ეთიკური ვალდებულება.

8.9.1 ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

8.9.2 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2.).

8.9.3 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

8.10 ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 11.8).

8.11 „ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატს ანიჭებს რა კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალიზაციით, ამის საფუძველზე აძლევს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებას საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების - კლიენტის ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე N030/11).

8.12 შ. ფ. არის ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით /სიითი N/. მხარეთა შორის შეთანხმება ითვალისწინებდა ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგებლობას ადმინისტრაციულ ორგანოში. ასევე, კლიენტმა განმარტა, რომ ადვოკატმა მას თავისი სპეციალიზაციის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. შესაბამისად, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, ადვოკატის მიერ სპეციალიზაციის დაუცველად საქმის წარმოება არ დასტურდება.

8.13 მიუხედავად საჩივრის ავტორის პრეტენზიისა, უდავო გარემოებაა, რომ ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია საქმეში სხვა ადვოკატის ჩართვის თაობაზე. კლიენტს ამ ფაქტზე მომსახურების პერიოდში პრეტენზია არ გამოუთქვამს, შესაბამისად, კოლეგია მის ამჟამინდელ პრეტენზიას ვერ გაიზიარებს.

8.14 საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები მიზნად ისახავდა კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღებას: ადვოკატმა შეადგინა და საჯარო რეესტრში შეიტანა ნახაზები, მოიძია ფაილი რეესტრის სამსახურიდან, რომელიც ატვირთა არქიტექტურის სამსახურის ვებ. გვერდზე, ამის საფუძველზე შეჩერდა ჯარიმები, დაწერა განცხადება ზედამხედველობის სამსახურში, რეესტრს მიმართა რათა მომხდარიყო მ. მ.-ის ფართის აზომვა, მონაწილეობა მიიღო საჯარო რეესტრის ზეპირ სხდომაზე. ადვოკატი აქტიურად ცდილობდა მხარეთა შორის მორიგებას. ადვოკატის მოქმედებების შესახებ კლიენტი ფლობდა ინფორმაციას. კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ შ. ფ.-ის მიერ კლიენტის არაკვალიფიციური წარმომადგენლობა არ დასტურდება.

8.15 ადვოკატის მიერ დარღვეული არ არის კლიენტის ინფორმირების ვალდებულება ჰონორარის გამოთვლის წესის, საქმისწარმოების ხარჯებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ნაწილში.

8.15.1 ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8);

8.15.2 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6);

8.15.3 ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.12).

8.15.4 კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

8.16 „ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმები ავალდებულებს წინასწარ განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა და გაანგარიშების წესი და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს. დაუშვებელია ადვოკატმა მიუთითოს ჰონორარის ოდენობა და არ განუმარტოს კლიენტს მომსახურების ფარგლები, რომლისთვისაც განსაზღვრა ადვოკატმა მითითებული ჰონორარი. ამასთან, ადვოკატმა ცალკე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტს მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

8.17 „იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს წინასწარ ექნება ინფორმაცია მისი საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, კლიენტს საშუალება მიეცემა თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება: 1) გააგრძელოს თუ არა მისი საქმისწარმოება სასამართლოში, 2) მიმართოს თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს, თუ 3) მოურიგდეს მხარეს, რათა შეიმციროს საქმესთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯები“

(საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

8.18 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N037/14).

8.19 უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ადვოკატმა ჰონორარის სახით მიიღო 1000 ლარი, რომლის ფარგლებშიც კლიენტისათვის მომსახურება უნდა გაეწია ადმინისტრაციულ ორგანოში. განხილვის კოლეგიის სხდომაზე მ. მ.-მა განმარტა, რომ მან იცოდა, იმ შემთხვევაში თუ დასჭირდებოდა საქმის წარმოება სასამართლოში, მოუწევდა დამატებითი თანხების გადახდა როგორც სახელმწიფო ბაჟის, ასევე ადვოკატის ჰონორარის სახით. ადვოკატმა მიღებული ჰონორარის ფარგლებში საქმის წარმოება ბოლომდე მიიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტისათვის სასურველი შედეგი არ დადგა, საქმის წარმოება ადმინისტრაციულ ორგანოში დასრულდა. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ შ. ფ.-ის მიერ დარღვეული არ არის კლიენტის ინფორმირების ვალდებულება ჰონორარის გამოთვლის წესის, საქმისწარმოების ხარჯებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ნაწილში.

8.20 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ შ. ფ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - კლიენტის ინფორმირების ვალდებულებისა და ნდობის პრინციპის დარღვევა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლი 3, მუხლი 8.6), რის გამოც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

8.21 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

8.22 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

8.23 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

8.24 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

8.25 ეთიკის კომისია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, ზიანს, ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი და ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

8.26 კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომლის შინაარსი კონფიდენციალურია, შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით, რომლის შინაარსი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

8.27 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N098/19 ადვოკატ შ. ფ.-ის მიმართ /სიითი №/ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფილაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/